სტამბა და რედაქცია
ფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურო ქარვასლა
ს-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
მიმართავენ რედაქციას დილის
-8 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 5 მან.,

## სახაზინო თეატრი
შაბათს, 30 მარტს,

ნინო დავითის ასულის ჩოლოყაშვილის თაოსნობით გამართული იქნება საგანგებო წარმოდგენა.
წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე

I
## ნამამგელი
კომედია ორ მოქმედებათ თავ. დ. ერისთავისა

II
რუსულ ენაზე
## მოწყვეტილი ვარსკვლავი
ერთი მოქმედება.

III
## ცხოველი სურათები
თამარი „დემონიდამ". ✦ 3) მაისის ღამე.
ლხინი და ქორწილი მაკოვსკისა. ✦ 4) თამარ მეფე და რუსთაველი.

ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ე. ვ. ტებენკოვისა, მ. ცოტოხცევისა, ქ-ნი გერშელმანისა, კნ. ე. მ. წერეთლისა, კნ. მ. ს. წე-ლისა, დ. რ. ფრიდონოვისა, კნ. მ. თ. ბარათაშვილისა, ა. პ. ოპოჩინინი-, ი. ბილფელდისა, ქ-ნი იუხნოვიჩისა, ე. გ. თათოევისა, კნ. ვ. რუსი-ლისა, ბ. ს. მამაცაშვილისა, ლეგრანისა, კნ. მ. ქ. ხერხეულიძისა, კნ. ივ. ავანდიშვილისა, კნ. ა. კ. ერისთავისა, კნ. ე. გ. ერისთავისა, ბუჭუიევ-სარაჯიშვილისა. ბ-ნნი პ. ა. ოპოჩინინი, ვ. ნ. ტატიშჩევი, თავ. დ. მ ოუაშვილი, ჯ. დ. ჟურული, თავ. დ. კ. მიქელაძე, თავ. კ. ა. ერისთავი ულინსკი, თავ. ნ. დ. ერისთავი, თავ. არ. ვახვახიშვილი, თავ. დ. რ. ვა იშვილი, თავ. ლორთქიფანიძე, თავ. პ. რ. წერეთელი და ნაცვლიშვილი.

ლოჟების და პირველი წყებების ბილეთები გაყიდულია.
ფასები მომატებულია.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

საავადმყოფო და ამბულატორია
## ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
ავადმყოფოში 50 საწოლია ავად-მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-ნი შინაგანისა, ნერვების, საქირურ-გო, თვალისა და დედათა ავადმყო-ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავად-მყოფობას სწამლობს ხ. ვ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ვერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოვანი. თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
საავადმყოფოს დირექტორი ხ. ვ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

უმაღლესი ჯილდოები.

ხელმწიფე იმპერატორმა, რუსეთის საიმპერატორო და სამეფო ორდენების კანცლერის მიერ მირთმეულის წმ. ანნას ორდენის საკავალერო საბჭოს უო-ვლად უქვეშევრდომილეს მოხსენების თანახმად, უოვლად უმოწყალესად ინება, 3 თებერვალს 1899 წელსა, ბოძება წმ. ანნას მესამე ხარისხის ორდენისა დასაჯილდოვებლად ერთგული სამსახურისთვის თორმეტი წლის განმავლობაში (იმ თანამდებობაებში, რომელნიც მოხსენებულნი არიან მე-15 მუხ. 459 სტ. ორდენთაშესახებ ტ. I კრებული სამოქ. კანონთა გამოც. 1892 წლ.) ეკლესიების მღვდლებისთვის: ქ. ტფილისის კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვდლის სოლომონ შოშიაშვილისთვის, იმერეთის ეპარქიის, სოფლ. საქარას მღვდლის ლუკა ჭიპაშვილისთვის, იმავე ეპარქიის ზედამაღლაკის მღვდლის ტარასი ტყეშელაშვილისთვის; სახალხო სკოლებში ერთგულ სწავლებისთვის ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში: ამიერ კავკასიის სასულიერო სემინარიის ეკკლესიის დეკანოზის ლაზარე ტურიევისთვის, ეკკლესიების მღვდლების: ეისკის უსაზხთა რაზმის ეკკლესიისა პეტრე ტიაჟოლოვისთვის და ქალაქ ტფილისის ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიის მღვდლის მიხეილ ბერძნიშვილისთვის.

# ახალი ამბავი

** გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობა. დღეს, 28 მარტს, ქ. გორში საზოგადო კლუბის დარბაზში, დანიშნულია გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის წევრთა მორიგი კრება, რომელზედაც განხილულ უნდა იქმნენ შემდეგი საქმეები:

1) 1898 წლის ანგარიშის გასინჯვა და დამტკიცება; 2) 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და დამტკიცება; 3) გამგეობის მოხსენება უძრავ ქონებათა შესახებ, და 4) ამორჩევა გამგეობის ორი წევრისა და ზედამხედველი კომიტეტის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა.

აი ცნობები შარშანდელი 1898 წლის ანგარიშისა: 1 იანვრიდან 1898 წლის დამლევამდე ამხანაგობამ ვაჭრობაში აწარმოვა 100,756 მან. 33 კ., რომლიდანაც ნაღდი მოგება დარჩათ 2,969 მ. 15 კ., 1 იანვრისთვის 1899 წლისა ამხანაგობას ჰქონდა თანხა ფულისა: საწარმოებელი 12,315 მ., სათადარიგო—1,951 მ. 16 კ. და საზოგადო—961 მ. 21 კ., ხორბალი ჰქონდათ სულ 20,267 მ. 94 კ., დანარჩენი სავაჭრო ღირდა სულ 10,500 მ., ამხანაგობა აპირობს გაალოს განყოფილებები ქ. ტფილისში, გორში და ცხინვალში, რისთვისაც ამხანაგობის გამგეობა სთხოვს კრებას, მიეცეს მათ კრედიტი 1,900 მ. გორის განყოფილებისთვის, ცხინვალისათვის—2,670 მან. და ტფილისისათვის—15,585 მ. 80 კ.

ამხანაგობის გამგეობა სთხოვს წრევანდელ კრებას, ნება მიეცეთ, რომ ამხანაგობისთვის ნება ჰქონდეთ შეიძინონ უძრავი მამულები, რისთვისაც სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში ნება უნდა მიეცეთ ვალის აღებისა 95,000 მანეთამდის. აქამდისინ კრედიტი ჰქონდათ მიცემული 55,000 მან.

** საეკკლესიო საუბარი ქართულ ენაზე. ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში დღეს, 28 მარტს, მწუხრის ლოცვის შემდეგ წაიკითხავს საეკკლესიო საუბარს ქართულ ენაზე ტფილისის სას. სემინარიის მოძღვარი მღვ. იასონ ლაბაძე.

** ქართულ წიგნების გამსინჯავი კომისია. ქართლ-კახეთის საეპარქიო სასკოლო საბჭომ დააარსა განსაკუთრებული კომისია, იმ ქართულ წიგნების გასასინჯავად, რომელთაც მას უგზავნიან სხვა და სხვა ავტორები და გამომცემლები. ხსენებულ კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა ტფილისის სას. სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი დიმიტრი და წევრებად ბ-ნნი ნ. გ. ტატიშვილი, ე. ბ. მამინაიშვილი, ნ. დ. მახათაძე და ი. ი. ფერაძე.

ამავე კომისიამ უნდა შეადგინოს სია იმ ქართულ წიგნებისა, რომელთ ქონება საეკკლესიო სკოლების წიგნთსაცავებში სასურველი და საჭიროა.

** ეგზარხოსის ღვთის მსახურება. დღეს, 28 მარტს, ტფილისის სას. სემინარიის კარის ეკკლესიაში მწუხრის ლოცვას შეასრულებს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, საქართველოს ეგზარხოსი. მწუხრის შემდეგ ამავე სემინარიის მასწავლებელი სტატსკი სოვ. ნიკოლოზ მახათაძე წაიკითხავს რუსულ ენაზე საეკკლესიო საუბარს შემდეგის სათაურით:

„ვინ არს, მოყვას ჩემდა?“ მწუხრის ლოცვა დაიწყება ნაშუადღევის მეხუთე საათის ნახევარზე.

*** **სამხატვრო გამოფენა.** გუშინ, 27 მარტს, გაიხსნა სამხედრო საისტორიო მუზეუმში სამხატვრო გამოფენა.

*** **92,000 მანეთი ჯილდო რკინის გზის მოხელეთ.** სამინისტროს გადაუწყვეტია ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეთ მიეცეთ ჯილდოთ 92,000 მ. 1897 წლის სამსახურისათვის იმავე წლის მოგებიდან.

*** **პურის ფასის დაკლება ტფილისში.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ქალაქის გამგეობას აზრად აქვს პურის ფასი დააკლოს, რადგან ამის შესახებ მოხსენება შეუტანია ბ-ნ ალექსანდრე ჯაბადარს, რომელსაც სავაჭრო-სამეურნეო გამგეობა აბარია ქალაქისა.

*** **მდ. მტკვრის და ჭოროხის გაწმენდა.** როგორც გაზეთ „კავკაზს“ აუწყებენ დეპეშით პეტერბურღიდან, სამინისტროს გადაუწყვეტია მტკვრის კალაპოტის გასაწმენდათ, რათა შეეძლოს გემების მიმოსვლა, 10,000 მან. და აგრეთვე მდინარე ჭოროხის განსაკარგებლად დაუნიშნავს იმდენივე.

*** **50,000 მან. მოპარვაზედ.** როგორც მკითხველებმა იციან ტფილისის ფოსტის კანტორიდან მოიპარეს შარშან მარიამობისთვეში 50,000 მან. ეს მოპარვა დაბრალდათ ორჯონიკიძეებს, რომლებიც საგუბერნიო ციხეში არიან ეხლა დაპატიმრებულნი. გასარჩევად ეს საქმე არის დანიშნული ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებაში 11-ს მომავალს მაისს.

*** **ახალი დანიშვნები.** თბილისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწეთ დანიშნულ იქმნა აზნაური ნ. ფურცელაძე.

*** **ანგარიში და მადლობის გამოცხადება.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კავკავის სკოლის სასარგებლოდ 26 ქრისტეშობისთვეს 1898 წ. გამართულის საღამოდამ საქველ-მოქმედო ბაზრითურთ

შემოვიდა: 1) ბილეთების ფასი 307 მ., 2) ბაზრისაგან 124 მ. 90 კ 3) ზედმეტი ბილეთებისა და ნივთების გაყიდვის დროს 116 მ. 84 კ. 4) ბაზრის გასამართავათ ფული შემოსწირეს 79 მ. 50 კ. 5) ბუფეტისაგან 300 მ. 18 კ სულ 928 მ. 42 კ.

დაიხარჯა: 1) მარკემი ბილეთებისათვის 14 მ. 35 კ., 2) ბილეთებისა და აფიშების ფასი 9 მ. 38 კ., 3) ბაზრისათვის ნივთები 9 მ. 85 კ., 4) სამთელი 7 მ., 5) ბუფეტისათვის ხორაგი და სავაჭრო მოწმობა 53 მ. 60 კ., 6) მუსიკა და საზანდარი 41 მ. 7) ნივთების გადატან-გადმოტანა 5 მ 45 კ., 8) დურგალს, მეშუშეს და სხვა მუშებს სხვა და სხვა სამუშავრისთვის 17 მ. 50 კ., 9) დაკარგულის ნივთების ფასათ პატრონებს 11 მ. 50 კ., 10) სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯი და ორს პოლიციელს 13 მ. 12 კ., სულ 181 მ. 75 კ.

სკოლის სასარგებლოდ დარჩა შვიდას ორმოცდა ექვსი მან. და სამოცდა შვიდი კაპ. (746 მ. 67 კ.)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა თავის მოვალეობად სთვლის გამოუცხადოს უგულითადესი მადლობა ალექსანდრე პეტრეს ძეს სარაჯიშვილს, რომელმაც მიიღო თავის თავზე დიდი შრომა საღამოს გამართვისათვის, ქალ. სოფიო იოს. ასულს სარაჯიშვილისას, ალექსი ილიას ძის როგოვსკის მთელს ოჯახობას, კნეინა ელ. ივ. ხიმშიაშვილისას, ქქ. ელ. დ. და ეკ. კირ. მოზდოკელიშვილებს, თამარა იოს. ასულს გაბაშვილს, დარია ილ. ბაქრაძეს, იოსებ მოზდოკელიშვილს და სხვათა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა საღამოს გამართვაში.

*** **ბათომი. მამაკაცების უსამართლობაზე.** კვირას, 21 მარტს, საღამოს მე შემთხვევით დავესწარი აქაური „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კრებას, ამ საღამოს აქაურ ქართველებს ჰქონდათ კრება ანგარიშის შესატყობლათ; აგერ ექვსი წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც აქ „წ. კ. საზ.“ განყოფილება დაარსდა და მას შემდეგ არავითარი ანგარიში არ მოუხდენიათ. ამ საღამოს აღმოჩნდა, რომ აქაურ საზოგადოების კომიტეტი თავიდანვე გულწრფელად მოჰკიდებია ამ კეთილ საქმეს და დაუზარელის შრომით და მეცადინეობით. აქაურ საზოგადოებას დღეს ხელში აქვს მშვენივრად აგებული სასწავლებელი, სადაც ორასამდე მოწაფე სწავლობს. კრება სამაგალითოდ დასრულდა; საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა კომიტეტს და კიდევ ხელმეორედ შესთხოვეს საქმის განგრძობა.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის ერთი გარემოებაც. ნუ თუ მარტო მამაკაცები იღებენ ამ კეთილ საქმეში მონაწილეობას? აქაურ ქართველ ქალებსაც ბევრი შრომა და მოღვაწეობა მიუძღვის ამ კეთილ საქმეში. მე ბევრჯერ წამიკითხავს გაზეთში, რომ ამა და ამ ქალბატონმა თავისი მეცადინეობით და აგრეთვე საზოგადოების დახმარებით გამართა ბათუმში ლოტარია-ალეგრი სკოლის სასარგებლოთაო; ნუ თუ ქალები არ არიან მადლობის ღირსნი! მაგრამ ეს ნაკლი ჩვენს ქართველ საზოგადოებას აქვს დარჩომილი ძველი დროიდან, სადაც დედაკაცები მამაკაცების წინ ფეხსაც ვერ წადგამდნენ. რამოდენიმე კეთილ-მოღვაწე ქალები კიდევაც დაესწრნენ კრებას და მოწყენილი შეჰყურებდნენ კრებას, როდესაც საზოგადოება მამაკაცებს მადლობას უცხადებდა და ხოლო იმავე დროს აზრადაც არავის მოსვლია, ქალებისათვისაც გადაეხადათ მადლობა. მე, დამსწრე ვიყავ და არა წევრი, ამიტომ გულში ჩავიკალ ეს უსამართლობა და ვერაფერი ვსთქვი, ამიტომ გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, აღნიშნოთ ეს გარემოება გაზეთში და არ დაივიწყოთ, ის ქართველი ქალები, რომელნიც გულმტკიცედ ასრულებდნენ საერთო კეთილ საქმეს, რათა მათ მიბაძონ დანარჩენ ქართველ ქალებმაც და გული არ გაიტეხონ და ბანქოსა და ლოტოს თამაშში არ გაერთონ, რომელიც ძრიელ გახშირდა ყველა ქართველ ოჯახში ამ უკანასკნელ ხანებში.

ვლადიმერ ს—ვაძე

*** **დ. ზესტაფონი. დიდი ხნის დავის გადაწყვეტა.** ეჭვი არ არის, მკითხველებს ეხსომებათ, რომ მრავალჯერ დაიწერა გაზეთებში დ. ზესტაფონის ახალი საბაზრო ადგილის შესახებ, რადგან ძველ საბაზრო ადგილზე, რომელზედაც დღესაც ბაზრობა არის ხოლმე, ეს ზედ რკინის გზის სადგურზეა და ძრიელ დაახლოებით არის ადგილობრივ ეკკლესიაზედაც. რადგან ერთისთვის და მეორესთვისაც ძრიელ შემაწუხებელი იყო, სადგურის უფროსის და ადგილობრივი ეკკლესიის დეკანოზის განცხადებისამებრ მთავრობას სახეში ჰქონდა ხსენებულ ადგილზე მოესპო ხალხისთვის ბაზრობა, სხვა და სხვა ნაწარმოების ნამუშავრის ყიდვა-გაყიდვა და აერჩიათ სხვა საბაზრო ადგილი. ამ შემთხვევამ გაჰყო დაბის მოვაჭრეები ორ ჯგუფად: ახალი ბაზრელების და ძველი ბაზრელების სახელ-წოდებით. პირველები ასახელებდნენ იქ, სადაც მათ 1895 წ. წყალდიდობის შემდეგ, ცოტა ძველი ბაზრის ზემოთ ააშენეს ოცდა ათამდე მშვენიერი სავაჭრო სახლები და სადაც ეს მესამე წელიწადია ვაჭრობაც გააჩაღეს. შუა ადგილზე დასტოვეს მშვენიერი მოედანი, სადაც ჰავაც კარგია. ადგილიც შესაფერია საბაზროდ და შუა ადგილზედაც მშვენიერი ცი-

ვი ანკარა წყაროცა აქვს. ხო
მეორე მხარემ (ძველმა ბაზრე
ბმა) კი დაასახელეს ერთი მი
დნილი ბაზრის გარეშე ადგი
ეგრედ წოდებული „ძველი ნა
სტარი“, სადაც ზამთრობით
უნდა მოკირწყლოს კაცმა, მა
მუხლებამდე ჩაიფლება ტბაში
ტალახში. ზაფხულობით კი
მიანს ხახა გაუშრება და ც
ცხელებასაც კი ვერ ასცდება.
საბაზრო ადგილების შესახებ
მართეს ერთმა და მეორე მხა
მაც მაზრის უფროსს თხოვნ
თუმცა ახალი ბაზრელების დ
ხელებული საბაზრე ადგილი ს
დათ უმრავლესობას, როგო
მოვაჭრეებს, ისე მცხოვრებთა
მაზრის უფროსი მაინც თით
არ შეეხო არც ერთის და
მეორის მხრის თხოვნის დაკმა
ფილებას. ხოლო თვისის აზ
ზედ დაძენით, წარუდგინა ოლ
სამმართველოს განსახილველ
რომელმაც დანიშნა კომისია 18
წ., რომელსაც დავალებული
ნდათ შეემოწმებიათ ორივე ს
ზრო ადგილები, როგორც ვა
მხრივ, ისე ადგილების მდებარ
ბითაც. კომისიამ შემოწმების
მდეგ უფრო მოიწონა ახალი
რელების საბაზრო ადგილი.
მისიის შემოწმების შემდეგ ოლ
სამმართველომ დაავალა მაზ
უფროსს, როგორც ძველი ბაზ
ლები თხოულობდნენ, რომ
საზოგადოებას, კლდიეთისას
საქარისას ეკითხოსო, სადაც
ტესი ნაწილი იტყვის, იქ იქ
ბაზრობა დანიშნულიო. მაზ
უფროსმაც დაიბარა ეს ორი
ზოგადოების მცხოვრებნი 21
მარტისათვის და კიდევაც შეე
ბნენ 1400-მდე კაცი. მშვენიე
განუმარტა ხალხს მაზრის უფ
სმა ამ საბაზრო ადგილების
ხებ, თუ რა ჰქონდა მას და
ბული უმაღლესის მთავრობისა
რომ გამოეცხადებია მათთვის.
ველ თითოეულ აზრს და წინ
დებას ორჯერ უმეორებდა ხა
რომ უფრო გარკვევით ჩა
მათთვის მთავრობის წინადა
ისიც კი განუცხადა ხალხს,
არ იფიქროთ, ან უმაღლესი
ვრობა და ან მე რომელიმე
ზრო ადგილზე ძალას გატან
ეს აირჩიეთ და იმას ნუ აირ
მხოლოდ იცოდეთ, რომ
საბაზრო ადგილზე, სადაც
დე იყო ვაჭრობა და ხალხის
გროვება, აქ პირველი მაის
მოსპობილი იქნება უმაღლ
მთავრობისაგან და მე აქ ა
ხალხს და აღარც ურმებს
გავაჩერებ; იცოდეთო, განუმ
მაზრის უფროსმა კიდევ ხა
არავითარი ძალა არ გადგიათ დ
მელსაც თქვენთვის საუმჯობ

ვთ, ის აირჩიეთო. მერე უბრ-
ხალხს, ვისაც ახალ ბაზრის
ხელებულ ადგილზე გსურთ,
თ დადექით და ვისაც ძველი
ის—ქვევით დადექითო და
ო ხალხი ორ ნაწილად, რომ
ტან ნაწილს მემამულეებისას,
აყვარელიძეებს, არ შეეკავებიათ
ჩ ძველი ბაზრელების მხარე-
თუ მეტი არა, ორი წილი
ც, იტყოდა ზემო ბაზრელების
ხელებულ ადგილისკენ, მაგ-
რადგან ასე შეშინებული შე
ა მათგან ხალხი, ბევრმა სიმა-
რის თქმას ფარდა ჩამოაფარა.
ცა ადგილობრივი მთავრობი-
ნ ამისთანა უწესოებაზედ ყო-
ივე ზომები კა იყო მიღებუ-
ერთი ხალხში მყოფი ახალ-
ა, რომელსაც ძალით გაჰყავ-
ალხი ძველი ბაზრელების მხა-
, დაპატიმრებულ იქმნა პო-
ციისაგან საზოგადოების დამ-
დე. ბოლოს მაინც 150 ხმის
ესობით იქმნა არჩეული ახა-
ბაზრელების დასახელებული
ვი საბაზროდ. მადლობა ღმე-
! ყოფილან ცოტა ზედ მეტი
გადოებაში ისეთი პირები,
ლებსაც შეძლებიათ ავისა და
ის გარჩევა, რომლებმაც იც-
, როგორც თავისთვის, ისე
ი მოძმეების სასარგებლოდ
აცილეს საზოგადოებას ისეთი
რო ადგილი, სადაც ზამთარ-
ულაში ჩაიხრჩობა კაცი და
ულში წყურვილით და ციებ-
ებით იხამშება ადამიანი.

დამსწრე

* ალაგირი (თერგის მხარე).
ების გამოცხადება. ბ-ნო რე-
ორო! უმორჩილესად გთხო-
თქვენის პატივცემული გაზე-
„ცნობ. ფურც." საშუალე-
უგულითადესი მადლობა გა-
ცხადოთ, როგორც ჩემის მხ-
გან, ისე ალაგირის ქართვე-
მცხოვრებთაგან ალგირს სამხ-
კამპანიის მოხელეს შტეგერს
იეოვს და ნაუმოვს და აგრე-
ლიკონ ნონიასძე ლობჯანიძეს,
ლებმაც შემოსწირეს ახლად
ხსებულს ჩემდამო რწმუნებუ-
ალაგირის სამრევლო სკოლას,
ელმა და მეორემ ოც-ოცი
ი 1) 20 მ., 2) 20 მ. ხოლო
ემ შვიდ მანეთ ნახევრის სალ-
ი ნივთები; სახელდობრ:
ლამფა, ერთი მასწავლებელ-
თახისთვის, მეორე თვითონ
ლისათვის, სადაც იკრიბებიან
მ-სალამოთი მგალობელთა გუ-
ქართულის გალობის სასწა-
ლოდ და სამი სკამი ძლიერ
მოვნო იქნება, სხვებიც მიჰ
დენ ამ მაგალითს და რითაც
ლევოდეს, დახმარებას აღმო-
ენ ამ ღარიბს სკოლას.
სწავლებელი პავლე ლომთათიძე.

## რჩეული აზრები

✦ ისეთი დრო არ არის ადამიანის სიცოცხლეში, რომ სწავლა არ შეიძლებოდეს.

✦ ისეთი სულელობა არა არის რა ქვეყანაზე, რომ კეთილ-დღეობას არ შეეძლოდეს.

✦ ისე მოიქეც, რომ შენს ტვინში მეტი არა იყოს რა, მაგრამ არც დანაკლისი გეტყობოდეს რისამე.

✦ როცა სამიშო შენობაში მთავარი ბოძები ირყევიან, დროა ვიფიქროთ, რომ დროზე გამოვეცალნეთ.

✦ ის როდია საკმარისი, რომ შრომას არ ექცეოდე, საჭიროა შრომას მუდმივ დაეძებდე.

## გასართობი

ბერლინში ერთს დიდს საზოგადოებაში წვეულება იყო გამართული. დიდძალი ხალხი ტრიალებდა. ერთს სრულებით ახალგაზდა და ლამაზ აფიცერ-ლეიტენანტს გულზე ეკიდა რაღაც ნიშანი, გარშემო სულ თვალ-მარგალიტებით შემკული და ბევრს ახალგაზდა ქალს რჩებოდა თვალი იმ აფიცერზე. უეცრივ ამ აფიცერთან მივიდა ერთი პოლკოვნიკი და ნიშნობლივ ჰკითხა:

— ლეიტენანტო, ერთი მითხარით, რა არის გულზე რომ გკიდიათ?

— ეს ორდენი გახლავთ, ბ-ნო პოლკოვნიკო!

— ამ გვარი ორდენი გერმანეთში ჯერ არ მინახავს.

— ეს ინგლისური ორდენი გახლავთ.

— ინგლისური?.. ჰმ... მერე ვინ გიბოძათ ეგ ორდენი? დაეკითხა დაცინვით პოლკოვნიკი.

— ბებია ჩემმა ბ-ნო პოლკოვნიკო!

— ბებია თქვენმა? გაიხარხარა პოლკოვნიკმა, მერე ვინ არის ყმაწვილო თქვენი ბებია?

— ჩემი ბებია გახლავთ მათი უდიდებულესობა ინგლისის დედოფალი ვიქტორია, დინჯად მიუგო ახალგაზრდა პრინც ალბერტ შლეზვიგ-გოლშტეინისამ. დარცხვენილი პოლკოვნიკი მეისვე მოშორდა ახალგაზრდა პრინცს.

## ბრძნული თქმულება

ვის უფრო უყვარს?

მე ისე მიყვარს კაცი, სთქვა მოსვენებამ, რომ ყოველთვის ვესიამოვნებ ხოლმე, განსაკუთრებით შრომისა და ჯაფის შემდეგ, როცა იგი მოსვენებას ეძლევა.

— მერე? ჰკითხა სიზარმაცემ.

— მერე თავს ვანებებ, რომ კაცს შეეძლოს ხელ-ახლად შრომა და მეცადინეობა.

— ვერა, ჩემო კარგო, შენ ვერაფრად გყვარებია კაცი; თუ მე ერთხელ ვეწვიე კაცს, ვცდილობ, რომ სამუდამოდ მასთან დავრჩე და არ შევეშოდეს!

## ყურმოკრული საუბარი

— პაპა, აბა თვალები დახუჭე! ეხ ვეწება პაწია შვილის შვილი პაპას.

— რათა, შვილო!

— უნდა შენი მამულები ვნახო.

— მერე როგორ ნახავ!

— აი, დედა ყოველ დღე ამბობს, პაპა რომ თვალებს დახუჭავს, მაშინვე ვნახავთ პაპას მამულსაო!

— ექიმო! მიშველეთ ღვთის გულისათვის, ჩემს ცოლს ბავშვი გაუვარდა ხელიდან და მგონია თავი დაუშავა.

— მერე თქვენ რაღა გააწყეთ?

— თავდაპირველად ცოლი მივბრეგვე და მერე თქვენთან გამოვწიე!..

# წვრილი ამბავი

შექსპირის სასაფლაო. უდიდესი მწერალი და პოეტი ქვეყნიერობაზე, რა თქმა უნდა, ინგლისის დრამატურგი ვილიამ შექსპირია. მის სასაფლაოს ქვაზე ამოჭრილია შემდეგი შესანიშნავი წარწერა: „მუხლი მოიდრიკეთ ყველა ქვეყნის თეატრნო და განიხარე ინგლისო!"

პასტერის სასაფლაო. პასტერი გამოჩენილი მეცნიერი დამარხულია პარიზში, მისსავე სახელის ინსტიტუტში მის სასაფლაოზე ამოჭრილია შემდეგი წარწერა: „ბედნიერ არს იგი, ვინც თან ატარებს ხოლმე ღვთაებას, სიმშვენიერის იდეალს, ცოდნას, სათნოებას და ქრისტიანულ სიყვარულს და ემსახურება მას"!

## სხვა-და-სხვა ამბავი

სიცივის შემცირება ქვეყნიერობაზე. პროფესორი ვოეიკოვი, რომელიც იკვლევდა სიცხე-სიცივეს ყველა ქვეყნებსა და სახელმწიფოებში, ამბობს, რომ ზამთრის სუსხიანი დღეები თანდა თან, წლიდან წლობამდე ჰკარგავენ თავის სისუსხეს და 1828 წლიდან მოყოლებული სიცივე ეხლა თან და თან კლებულობსო; ასე, რომ ცივი ზამთრის დღეთა რაოდენობა ორჯერ ნაკლებია ეხლა, ვიდრე ამ საუკუნის დასაწყისშიო.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

24 მარტი.

**პარიზი.** „Figaro"-ში დაბეჭდილია როჟეს ჩვენების უკანასკნელი ნაწილი. როჟე იმეორებს, რომ „ბორდეროს" ავტორი მხოლოდ დრეიფუსი უნდა იყოსო, თავისს სიტყვებს ამტკიცებს ტეხნიკურის მოსაზრებით, უარსა ჰყოფს იმ ხმებს, რომ ესტერგაზმა იშოვნა სროლის სახელმძღვანელოვო, და შემდეგ განმარტებას იძლევა გიდრავლიკურ ტორმოზის დამზადების შესახებ, რომელიც არ შეიძლება სცოდნოდა ესტერგაზს, მაშინ როდესაც დრეიფუსს შეეძლო ცნობები შეეკრიბა იმის შესახებ იმიტომ, რომ ბურჟში იყო, სადაც ეს იარაღი მზადდებოდაო. შემდეგ გენერალი ამბობს, რომ შენიშვნები დასაფარავ ჯარისა და სასროლ სახელმძღვანელოს შესახებ მთავარს შტაბს არა სცოდნია, რომელსაც ამ წიგნების რამდენიმე ცალი დრეიფუსის თხოვნით გაეგზავნაო. დანარჩენი ფრაზები ბორდეროსი მხოლოდ დრეიფუსს შეეხება და არა ესტერგაზს. ამას ის ამტკიცებს, რომ დრეიფუსი ცდილობდა შეეძინა საიდუმლო ცნობებიო. ესტერგაზი და პოლკოვნიკი ზანდგერი გაეცნობოდნენ ერთმანეთს ტუნისში. ესტერგაზი გაეცნო ანრის ზოლას პროცესის დროს. დიუპატის გაიძვერაობა, რომელსაც დანაშაულობის ხასიათი აქვს, არა სცოდნია მის უფროსებს: სახელდობრ, მან გარდასცა ესტერგაზს გასანთავისუფლებელი საბუთის ქაღალდი; მაგრამ ესტერგაზს დიდხანს არა შეუნახავს იგი და ამ საგნის გამო ყველანი მოატყუილაო. ქრისტიანე ესტერგაზი როჟეს საეჭვო კაცად მიაჩნია. ის მივიდა ლაბორისთან, სანამ ბერტიულიუსი ჩვენებას ჩამოართმევდა მას. როჟე ჰფიქრობს, რომ დეპეშა, რომელზედაც ხელმოწერილი იყო „speranza", გაგზავნილ უნდა ყოფილიყვეს აგენტად ნამყოფის სუფრენის მიერო. შემდეგ იგი ამბობს იმის შესახებ, თუ რაგვარი მონაწილეობა მიიღო დიუ-პატიმ დრეიფუსის საქმეში. ესტერგაზი სიმართლეს არ ამბობს, როცა ამტკიცებს, რომ მთავარ შტაბის მოხელე ვიყავიო, რომელსაც სრულებითაც არ ეშინიან იმის მუქარისა, რომ საიდუმლოებას გამოვაამჟღავნებო. შემდეგ როჟე ლაპარაკობს პიკარის გაიძვერაობის შესახებ და ამბობს, რომ მზადა ვარ პირის-პირ წარვუდგე პიკარსაო. გენერალი ერთობ ბევრს ლაპარაკობს ანრის მიერ ჩადენილ სიყალბის შესახებ, რომელიც (ანრი) ცნობილ იქმნა გენერალ პელიესათვის, როცა ზოლას ასამართლებდნენ.

**ლონდონი.** „Times"-ს დეპეშით ატყობინებენ შანხაიდგან, რომ 22 მარტს იქ მივიდა ბრიტანიის ელჩი და მაშინვე ხანკოუსაკენ გაეშურა, რათა მოისმინოს საჩივარი იქაურ ინგლისელ ახალშენთა და გამოძიება მოახდინოს კონცესიის შესახებ, რომელიც აზრადა აქვთ ბელგიელებს. ელჩი ნახავს ნანკინის ვიცე-კოროლს.

25 მარტი

**პარიზი.** გაზეთები იუწყებიან,

რომ „Figaro“-ს რედაქციას უწყება მიუვიდა, სასამართლოში გამოცხადდეს შაბათს პასუხის საგებლად იმის გამო, რომ მან გამოაქვეყნა სისხლის სამართლის პალატის მიერ მომხდარი გამოძიებათ.

**პარიზი.** ლუბე წავიდა დღეს ორის დღით მონტელიმარში.

**პარიზი.** „Figaro“-ში დაბეჭდილია ჩვენება ბერტულიუსისა, რომელსაც ჩამოურთმევია პიკარისათვის იმ დეპეშათა შესახებ, რომელთაც „Speranza“ და „Blanché“ ეწერა ქვეშ. ბოლოს პიკარი სანდოდ მეჩვენა, რადგან მისი ნალაპარაკევი საბუთებით მტკიცდებოდაო. გენერალმა გონზმა მომანდო გარდამეცა პიკარისათვის, რომ მისი მერმისი დამოკიდებული იყო იმისაგან, თუ როგორ მოიქცეოდა ასსიზთა სასამართლოს წინაშე. შემდეგ ბერტულიუსმა ილაპარაკა იმის შესახებ, როგორ გაუჩხრიკეს სახლი პეის ქალს და როგორ დააპატიმრეს ესტერგაზი. პეი გამოტყდა, რომ ის დეპეშა, რომელსაც ქვეშ „Speranza“ აწერია, ჩემი დაწერილიაო. დეპეშა, „Blanché“ სახელით ხელ-მოწერილი, დიუპატის დაწერილია, მაგრამ შემდეგ უკუ-სთქვა ეს ჩვენება. პოლკოვნიკი ანრი საბუთის ქაღალდებს დაეძებდა იმ ქაღალდებში, რომელიც პეის სახლში უპოვეს, და როდესაც დაინახა ის საბუთის ქაღალდი, რომელშიაც სიტყვა „ბაზელ“-ი და „ს“-ი იყო, აღელვდა და განაცხადა, რომ „Blanché“-ს სახელით ხელმოწერილი დეპეშა ესტერგაზის მიერ არის შედგენილი, ხოლო „Speranza“-ს სახელით ხელ-მოწერილი გაგზავნილია დიუ პატის მიერო. ანრიმ დასძინა, რომ „ესტერგაზი ავაზაკიაო“. ამ რამდენისამე დღის შემდეგ ეს სიტყვები უკუ-სთქვა და განაცხადა, რომ მაგ დაპატიმრებულ საბუთის ქაღალდებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. ბოლოს მოითხოვა ის საბუთის ქაღალდი, რომელზედაც ეწერა „ბაზელ“-ი და „ს“. ბერტულიუსმა განაცხადა, რომ ესტერგაზის წერილი ვიპოვნე როტშილდის მდივანთან; ესტერგაზმა უთხრა როტშილდს: „ალლუმებზედ დასასწრებლად მივდივარო, მაგრამ ეს სიტყვები შეეხებოდა იმ ამბავს, რომელიც 1888 წ. მოხდა. დიუპატი მარწმუნებდა, რომ დრეიფუსი დამნაშავეა და ამასთან განაცხადა, რომ პიკარს პატიოსან კაცად ვსთვლიო. დასასრულ ბერტულიუსმა ილაპარაკა „პირ ბადიან ქალის“ შესახებ, რომელიც პატი დიუ-კლამი აღმოჩნდა. დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ „პირ ბადიანი ქალი“ სულ სხვა ვინმე იყოო, ხოლო იმ სხვამ დაამტკიცა, რომ იგი პარიჟში არ იმყოფებოდა, როდესაც გარდაცემულ იქმნა ესრედ წოდებული „განმათავისუფლებელი სასაბუთის ქაღალდი.“ ეს ქალი პიკარის ნათესავი აღმოჩნდა.

„Echo de Paris“-ს სარწმუნო წყაროდგან შეუტყვია, რომ ამ წლის შემოდგომაზედ იმპერატორი ვილჰელმი მონაკოს მივა, რათა დაესწროს ამ ქალაქში დასაარსებლად განზრახულ ოკეანოგრაფიულს მუზეის კურთხევას.

26 მარტი

**ჰააგა.** ნიდერლანდიის დიპლომატიის შემწეობით დაგზავნილ ოფიციალურ მოწვევაში კონფერენციაზედ დასასწრებლად აღნიშნულია, ის რომ ეს საგანი პირველად აღძრა რუსეთის იმპერატორმა, რომელიც მოწადინებულია კონფერენციის შემწეობით მშვიდობიანობა მოჰფინოს და შეიარაღება შეამციროს. მოწვეული იქმნება კონფერენციაზედ ევროპის 19 სახელმწიფო, შეერთებული შტატები, სიამი, სპარსეთი, ჩინეთი და იაპონია

**მონტელიმარი,** ვალენსში გაჩერების შემდეგ, რესპუბლიკის პრეზიდენტი, დიუპუისთან ერთად მონტელიმარში მოვიდა. მოხელენი და ხალხი პრეზიდენტს სადგურზედ ელოდდა. ხალხი აღტაცებით მიეგება ლუბეს.

**მონტელიმარი.** ქალაქი ბაირაღებით არის მორთული, ხალხი აღტაცებით მიეგება. დედა პრეზიდენტისა, 86 წლის მოხუცი, ქალაქის თვით-მართველობის სახლთან გამართულ ესტრადზედ ელოდდა. პრეზიდენტი სიყვარულით გადაეხვია დედას. მოხელეთა მიღების შემდეგ პრეზიდენტი ნადიმს დაესწრო.

**მონტელიმარი.** პრეზიდენტმა, წარმოთქმულ სადღეგრძელოს საპასუხოდ სთქვა, რომ თუ პრეზიდენტობა ვიკისრე, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ მსურს რესპუბლიკის ერთიანობის მტკიცე ნიადაგზედ დაყენება, რაიცა ქვეყნისათვის დიდად საჭიროა.

**ვაშინგტონი.** გააგაში განზრახულ კონფერენციაში შეერთებულ შტატების მხრივ მონაწილეობას მიიღებენ: ბერლინელი ელჩი უაიტ, გააგელი ელჩი ნიუველი, კოლუმბის უნივერსიტეტის პრეზიდენტი სეტ-ლოუ, კაპიტანი კროზიე, როგორც სამხედრო უწყების დელეგატი, კაპიტანი მაგინი, როგორც ზღვათა უწყების დელეგატი, და ბრედერიკ გოლსკი, ვითარცა მდივანი.


# სიცოცხლის დაზღვევა უბედურებისაგან

რკინის გზებსა და გემებზე.

შეიძლება საზღვევის გამგეობაში „როსია“ (ს.-პეტერბურგ. ბოლშაია მორსკაია, 37) და განყოფილებაში ქ. ტფილისში სერგიევის ქუჩა № 6. და საზოგადოების აგენტებთან ყველა რუსეთის ქალაქებში. (4—1)

**Открыта подписка на 1899 годъ**

**На литературный, научный и политическій журналъ**

Выходитъ 3 раза въ мѣсяцъ (1, 11, 21) 36 книгъ въ годъ 36

# „ЖИЗНЬ“

Рисунки и портрет

**Съ 1899 г. журналъ будетъ выходить при обновленномъ состав... дакціи и сотрудниковъ.**

Въ журналѣ принимаютъ участіе: К. С Баранцевичъ, академикъ Н. Н... товъ, В. В. Брусянинъ, П. И. Вейнбергъ, А. А. Вербицкая, В. В. Бер... З. Л. Ворогова, П. Н. Ге, М. П. Глѣбовъ, Р. Гоголевъ, М. Горькій (... Пѣшковъ), И. А. Гурвичъ, Г. А. Джаншіевъ, Н. П. Дружининъ, (A. Duc), Де-Греефъ (De Greef.), П. П. Инфантьевъ, М. К. Исаевъ, Калитинъ, Б. Э Кетрицъ, проф. Г. В. Левицкій, д-ръ П. В. Левашо... Е. Лосицкій, Г. Ф. Львовичъ, В. Микуличъ. Н. М. Минскій, Вас. Ив. Н...ровичъ-Данченко, А. А. Никоновъ, Н. А. Окуневъ, проф. Э. Ю. Петр... А. Поссе, Д. Д. Протопоповъ, К. П. Пятницкій, Н. А. Рубакинъ, В... Скалонъ, М. А. Славинскій, Е Смирновъ, Евг. А. Соловьевъ, П. Б С... Н. Ф. Тепловъ, д-ръ В Ө. Тотоміанцъ, М. И Туганъ-Барановскій, В... Черновъ, А. П. Чарушниковъ, Евг. Чириковъ, Корсдъ Шмидтъ (C... Schmidt), проф Ө. Ө. Эрисманъ и др.

**ГМ. ОРЬКІЙ заявилъ согласіе печатать въ „Жизни“ ВСѢ свои произведенія,**

за исключеніемъ небольшихъ очерковъ, обѣщанныхъ имъ „Журналу для всѣхъ“

**12 книжекъ** выходящихъ 1-го числа каждаго мѣсяца, заключаютъ въ себѣ **ЛИТЕРАТУРНЫЙ** отдѣлъ журнала. Въ него ходятъ: беллетристика, литерат. критика и искусство.

**12 книжекъ**, выходящихъ 11-го числа, заключаютъ въ себѣ **НАУЧНЫЙ** отдѣлъ журнала. Въ него входятъ статьи по *естество-знанію* и по *общественнымъ наукамъ* (соціологія, политическая экономія, право, исторія).

Особое вниманіе будетъ обращено на ознакомленія читат. съ новѣйш. научными теченіями.

**12 книжекъ**, выходящихъ 21-го числа, содержатъ въ себѣ **ПОЛИТИЧЕСКІЙ** отдѣлъ журнала. Въ него входятъ: руководящія статьи по текущимъ вопросамъ русской и заграничной жизни, корреспонденція изъ провинціи и изъ за границы.

Особое вниманіе будетъ обращено на разработку вопросовъ, касающихся крестьянскаго, городскаго и земскаго самоуправленія.

Многіе мѣстные общественные дѣятели обѣщали свое сотрудничество. Для болѣе полнаго ознакомленія читателей съ заграничной жизнью, кромѣ отдѣльныхъ статей и корреспонденціи, редакція предполагаетъ помѣщать переводы *стенографическихъ* отчетовъ о наиболѣе интересныхъ засѣданіяхъ западно-европейскихъ парламентовъ.

Постоянныя корреспонденціи изъ Германіи, Франціи, Англіи, С. Ам. Соед. Штатовъ, Австріи, Бельгіи и др.

*Библіографія* распредѣляется по соотвѣтствующимъ отдѣламъ.

*Къ каждой изъ 36 книж... лагается обзоръ русской и ино... ной жизни за 10 дней.* Этимъ ... достигнуто соединеніе удобствъ ... сячнаго и еженедѣльнаго изданія.

Кромѣ того ежемѣсячно ... помѣщаться *новости литерату... кусства и науки, а также мел... ской и заграничной жизни.*

*Многія статьи (по искус... исторіи и т. д.) будутъ ... стрированы снимками съ ... тинъ и портретами.*

Помѣщеніемъ рисунковъ ... ретовъ редакція однако отнюдь ... метъ придать журналу характеръ ... стрированнаго изданія.

Стремясь избѣгать помѣще... шихъ литературныхъ произведе... большими отрывками редакція ... напечатать переводъ новаго бо... *романа Гамфри Уордъ* (автор... челлы, Сэра Дж. Тресседи, Дави... на и др.) *Хельбекъ изъ Банн... ля отдѣльной книгой* и разос... въ первой четверти 1899 года *подписчикамъ, внесшимъ полну... ую плату* въ видѣ безплатнаго ... ложенія

Контора редакціи готова ... нять порученія иногородныхъ ... чиковъ по покупкѣ и высылкѣ им...

Первыя три (январскія) ... печатаются и выйдутъ въ декабр... лающимъ ознакомиться съ жур... онѣ высылаются за *одинъ* рубль ... савшіе ихъ, продолжаютъ подпи... 6 рублей.

**Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ—7 руб.; ... года—4 р. Допускается разсрочка отъ 1 р. въ мѣсяцъ.**

Главная контора СПБ. Бассейная д. 14

Отдѣленія конторы *въ Москвѣ:* кн. маг., «Книжное Дѣло» (Моховая ... Бенкендорфа); кн. скл. А. М. Муриновой (Трехпрудный пер., собс...

(8—3) Редакторъ-Издатель **Д. М. Остафь...**